

სარჩევი

1. შესავალი	2
2. ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესი	3
3. ეკონომიკური საქმიანობა	9
4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემული დოკუმენტები	14
5. ადამიანის უფლებების დაცვა	18

1. შესავალი

2013 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტი „საქართველოს კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ცვლილებების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის მე-4 მუხლში, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლას არეგულირებს, ცვლილების შეტანას იმდაგვარად, რომ ამ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა პირველ ჯერზე აღარ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ გახდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ხოლო განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება იქნება სისხლის სამართლის დანაშაული, რაც ნაცვლად თავისუფლების აღკვეთისა, გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით. 2016 წლის შემოდგომაზე IX მოწვევის პარლამენტმა კვლავ განაახლა მსჯელობა ამ კანონპროექტზე.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო მიმართულებებიდან შესვლის რეჟიმის ლიბერალიზაციას, როგორც ადამიანის უფლებების მოსაზრებით, ისე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ნორმალიზების თვალსაზრისითაც. ამასთან, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კანონში არის რიგი პრობლემური საკითხები, რომლებიც ასევე საჭიროებს ცვლილებას, რათა უკეთ იყოს დაცული საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის იზოლაცია გარე სამყაროსგან ხელს უშლის კონფლიქტით და მავთულხლართებით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენასა და შერიგებას. შესაბამისად, საქართველოს სტრატეგიულ მიზანს, რომელიც 2010 წლის სახელმწიფო სტრატეგიაშია განმტკიცებული, ოკუპირებული რეგიონების დე-იზოლაცია და ჩართულობა წარმოადგენს.¹ საქართველოს მთავრობამ ასევე გამოხატა მზაობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა როგორც ქვეყნის განვითარებით, ისე მისი ევროკავშირისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციით მიღწეული სარგებელი.²

ამავე სულისკვეთებას იზიარებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების (შემდგომში „ასოცირების შეთანხმება“) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ (შემდგომში „DCFTA“) შეთანხმებები. საქართველოსა და ევროკავშირს შორის

¹ 2010 წლის სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა თანამშრომლობის გზით.

² საქართველოს მთავრობის სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“, 2010, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge\(1\).pdf](http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge(1).pdf) [ბოლოს ნანახია 26.01.2017].

ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლს მიღმა ვაჭრობის, მოგზაურობისა და ინვესტიციების წამახალისებელი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის, კანონმდებლობის გადახედვა, როგორცაა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი.³ ამ ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი იქნება, თუ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დახურული დარჩა ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის და არ მოხდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაადგილების ლიბერალიზაცია, ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების შერბილება და ეკონომიკური თუ სოციალური ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ ახორციელებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეფექტურ კონტროლს, მას აკისრია პოზიტიური ვალდებულება ზეგავლენა მოახდინოს იქ მაცხოვრებელი მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე, პოლიტიკური, სამართლებრივი თუ დიპლომატიური გზით. შესაბამისად, საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას, ჯანდაცვისა და განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ოკუპირებული რეგიონების ჩართვას საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში და ა.შ.

სახალხო დამცველი ხელმძღვანელობს რა ადამიანის უფლებების დაცვისა და ომით გახლეჩილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის, სოციალური თანასწორობისა და განვითარების პრინციპებით, წარმოგიდგენთ მოსაზრებებს საქართველოს კანონზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. ანგარიში მიმოიხილავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფალი გადაადგილების, ეკონომიკური საქმიანობის, უკანონო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს და წარმოადგენს რეკომენდაციებს, რომლებიც სახალხო დამცველის აზრით, გააუმჯობესებს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ხელს შეუწყობს კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას.

2. ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესი

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მიხედვით აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე

³ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014, 2015 და 2016 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმები და მათი განხორციელების ანგარიშები იხილეთ: <http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/association-agreement> [ბოლოს ნანახია 26.01.2017].

პირებისათვის დაშვებულია მხოლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან, ხოლო ცხინვალის რეგიონში - გორის მუნიციპალიტეტიდან.⁴ ყველა სხვა მიმართულებიდან ამ ტერიტორიაზე შესვლა საქართველოს სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 4 წლამდე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი კი - თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 5 წლამდე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 322¹).⁵

ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევის ბრალდებით 2009-2016 წლებში სასამართლომ სულ 395 პირის წინააღმდეგ განიხილა საქმე. ჯამში 51 პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, ხოლო უმეტესობას - ჯარიმა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სასჯელი მხოლოდ იმ მცირე ნაწილს ეკისრება, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის შემდეგ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შემოდის. ამის გარდა, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის ინფორმაციით დაკავებულთა დიდ ნაწილს წარმოადგენენ უცხოელი მეზღვაურები, რომლებმაც, სავარაუდოდ, არ იცოდნენ საქართველოში არსებული გარემოების და ამ კანონის არსებობის შესახებ. ასევე, ხშირად კანონის დარღვევა ხდება ფორსმაჟორულ სიტუაციაში (ცუდი ამინდის გამო).⁶ საგულისხმოა, რომ კანონის მოქმედება და შეზღუდვები ასევე ვრცელდება ისეთ ჰუმანიტარულ და სადამკვირვებლო ორგანიზაციებზე და მათ

⁴ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებგვერდზე განთავსებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის ნოტიფიკაციის ფორმა, რომელიც, მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა და არ იძლევა ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის ნებართვას. ნოტიფიკაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის თაობაზე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, <http://new.smr.gov.ge/smr/Notifications/Notifications.aspx> [ბოლოს ნანახია 06.09.2016].

⁵ თუმცა, კანონი აწესებს რამდენიმე გამონაკლისს, რომლებიც ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე დაემატა კანონს 2009-2013 წლებში. კერძოდ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული მიმართულებიდან შესვლის შეზღუდვა არ ვრცელდება პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელ პირებზე და საქართველოს მოქალაქეებზე (მუხლი 4.4(გ)). ასევე, იმ პირებზე, რომლებიც ითხოვენ თავშესაფარს საქართველოში („ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს კონვენციის შესაბამისად) და ადამიანით ვაჭრობის, ანუ ტრეფიკინგის მსხვერპლ პირებზე (სტატუსის მოპოვებამდე). კანონი მათ ავალდებულებს, რომ საზღვრის გადაკვეთამდე ან მას შემდეგ გონივრულ ვადაში შეატყობინონ საქართველოს სახელმწიფოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე აკრძალული მიმართულებიდან შესვლისა და გასვლის დრო, ამასთან დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ ხელისუფლების ორგანოში და მისცენ შესაბამისი ახსნა-განმარტება (მუხლი 4.4(ა)). აკრძალვა ასევე არ ვრცელდება გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების განმახორციელებელი პირების მიმართ. ეს გულისხმობს მოსახლეობის დახმარებას საკვებით, მედიკამენტებით და პირველადი მოთხოვნილებების საგნებით (მუხლი 4.4(ბ)). დახმარების განმახორციელებელი ასევე ვალდებულია შეატყობინოს საქართველოს მთავრობას შესვლამდე, ან შესვლის შემდგომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის დრო და მიაწოდოს საქართველოს მთავრობას ინფორმაცია გაწეული დახმარების შესახებ (მუხლი 4.5).

⁶ Venice Commission, Opinion on the 2013 Draft Amendments to the Law on the Occupied Territories of Georgia, Venice, 6-7 December 2013, პარაგრაფი 16. ხელმისაწვდომია [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2013\)036-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2013)036-e) [ბოლოს ნანახია 26.02.2017]

თანამშრომლებზე, რომლებიც ყოველდღიურ, სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმიანობას ეწევიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წელს შემოთავაზებული პროექტით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული მიმართულებებიდან შესვლა პირველ შემთხვევაში განისაზღვრება როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ხოლო მეორედ განხორციელებული იგივე ქმედება - სისხლის სამართლის დანაშაული.

კანონის მოქმედი რედაქცია განსაკუთრებულ შემთხვევებში ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული მიმართულებებიდან შესვლამდე სპეციალური ნებართვის გაცემის შესაძლებლობას, თუ ეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ან ჰუმანიტარულ მიზნებს (მუხლი 4.3). მთავრობის მიერ შემოთავაზებული ცვლილებებით კი, პირი, რომელიც შევიდა აკრძალული მიმართულებებიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ შესვლამდე ან შესვლის შემდეგ მიიღებს მთავრობის სპეციალურ ნებართვას.

დღეისათვის, სპეციალური ნებართვის გაცემის წესი მოცემულია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 ნოემბრის N219 დადგენილებაში „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელებისათვის თანხმობის გაცემისა და აკრძალული მიმართულებებიდან შესვლის სპეციალური ნებართვის გაცემის წესის შესახებ“⁷ (შემდგომში „N219 დადგენილება“). ამ წესის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული მიმართულებებიდან შესვლის ნებართვას გასცემს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (პუნქტი 1²). იმ შემთხვევაში, თუ ნებართვა გაიცემა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცურავი საშუალებით შესვლის თაობაზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ინფორმაციას გამოითხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან (პუნქტი 1³).

შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც ჩრდილოეთიდან სურს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა, უნდა მიმართოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს სპეციალური ნებართვის მისაღებად. თუმცა, მიმართვის ფორმა და საჭირო დოკუმენტების სია არც საგარეო საქმეთა სამინისტროს და არც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ვებგვერდზე არ არის განთავსებული. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, მათ 2015 წლის 1 აგვისტოდან (შექმნიდან) დღემდე 2 ასეთი ნებართვა აქვთ გაცემული, ჯამში 10 ადამიანზე.⁸

⁷ საქართველოს მთავრობა, 2008 წლის 12 ნოემბრის N219 დადგენილება „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელებისათვის თანხმობის გაცემისა და აკრძალული მიმართულებებიდან შესვლის სპეციალური ნებართვის გაცემის წესის შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5848>.

⁸ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის 6 იანვრის N21700049178 წერილი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას.

ამ კუთხით საინტერესოა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევის სტატისტიკა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2009 წლიდან 2016 წლის ჩათვლით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322¹ მუხლით სასამართლომ განიხილა 297 საქმე 395 პირის მიმართ.⁹ სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ საქმეების რაოდენობა ბევრად უფრო მეტი იყო 2009-2011 წლებში, ისევე, როგორც სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. სასჯელის ზომად ყველაზე ხშირად გამოიყენება ჯარიმა, რომელსაც მოსდევს პირობითი მსჯავრი, ხოლო შემდეგ თავისუფლების აღკვეთა (იხილეთ ცხრილი 2). ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს დეტალურ მონაცემებს წლების მიხედვით სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 322² მუხლით განხილული საქმეების შესახებ.

ცხრილი 2. I ინსტანციის სასამართლოებში 2009-2016 წლებში სსკ-ის 322¹ მუხლით (ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა) განაჩენით განხილული საქმეების რაოდენობა

წლები	განხილულია განაჩენის გამოტანით		მათ შორის გამოყენებული სასჯელები				გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი
			თავისუფლების აღკვეთა	პირობითი მსჯავრი	ჯარიმა	გათავი-სუფლდა ამნისტიით	
	საქმე	პირი	პირი	პირი	პირი	პირი	პირი
2009	66	109	12	33	64		
2010	68	76	12	16	48		
2011	53	63	13	15	35		
2012	26	52	5	1	46		
2013	32	32			31	1	
2014	23	30	3	1	26		
2015	15	15	3		11		1
2016	14	18	3		15		

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო

საგულისხმოა, რომ ვენეციის კომისიამ რამდენიმე დასკვნა მოამზადა კანონთან დაკავშირებით; მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, 2013 წელს შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისია თვლიდა, რომ ამ ქმედების სრულად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გადატანა კიდევ უფრო შესაფერისი იქნებოდა შექმნილი ვითარებისათვის და

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის N3-220-15 წერილი.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან მეტ ჩართულობას შეუწყობდა ხელს.¹⁰ ასევე მიიჩნეოდა, რომ საჭიროა ფორსმაჟორის მუხლის შეტანა კანონში, რათა პირები, რომლებიც გაუთვალისწინებელი ვითარების გამო არღვევენ ქვეყნის საზღვარს, გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისგან.¹¹

რაც შეეხება სხვა ქვეყნების პრაქტიკას, სახელმწიფოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე შესვლის რეგულირების თვალსაზრისით, სხვადასხვა მიდგომა არსებობს. მაგალითად, მოლდოვას რესპუბლიკაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ უკრაინა-მოლდოვას საზღვრის გადაკვეთა და დნესტრისპირეთის გავლით მოლდოვას რესპუბლიკის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრა არ არის სისხლისსამართლებრივად დასჯადი და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მხოლოდ რეგისტრაციის ვალდებულება აქვთ.

ვიზა ლიბერალიზაციისათვის გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, 2013 წელს მოლდოვამ დნესტრისპირეთის გამყოფი ხაზის სიახლოვეს 6 ახალი ტერიტორიული ორგანო გახსნა, რომლებიც რეგისტრაციის აუცილებლობის შესახებ უცხო ქვეყნის მოქალაქეების ინფორმირებას და ქვეყანაში მიგრაციის კონტროლს ემსახურება. უცხო ქვეყნის მოქალაქეები, გამყოფი ხაზის გადმოკვეთიდან 72 საათის განმავლობაში, ვალდებულნი არიან დარეგისტრირდნენ ტერიტორიულ ორგანოში. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებულია ჯარიმა.¹² უნდა აღინიშნოს, რომ მოლდოვას რესპუბლიკას არ აქვს სპეციალური კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და არც რაიმე განსხვავებული კანონით არეგულირებს დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე შესვლის საკითხს.

კვიპროსის რესპუბლიკის ხელისუფლება უკანონოდ აცხადებს კვიპროსის ხელისუფლების გვერდის ავლით ჩრდილოეთ კვიპროსში (ე.წ. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში) შესვლას და ყველას მოუწოდებს არ ისარგებლონ ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე არსებული აეროპორტებით და პორტებით.¹³ ისევე, როგორც საქართველოს შემთხვევაში, ტერიტორიაზე შესვლა ნებადართულია სამხრეთ კვიპროსის მხრიდან და კვიპროსის ხელისუფლებას შეუძლია დააჯარიმოს პირი, რომელიც უკანონოდ შევიდა კვიპროსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.¹⁴ თუმცა, პრაქტიკაში კვიპროსის ხელისუფლება რეპრესიულ

¹⁰ Venice Commission, Opinion on the 2013 draft amendments to the law on the occupied territories of Georgia, Venice, 6-7 December 2013, პარაგრაფები 13-15.

¹¹ Venice Commission, Opinion on the 2013 draft amendments to the law on the occupied territories of Georgia, Venice, 6-7 December 2013, პარაგრაფი 16.

¹² Moldova's success story The visa-free regime with the EU one year on, Warsaw/Kyiv, May 2015, გვ.11 ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

<http://www.batory.org.pl/upload/files/Programy%20operacyjnej/Otwarta%20Europa/Moldova%20success%20story%20-%20policy%20paper%20-%20SBF%20IWP.pdf> [ბოლოს ნანახია 30.09.2016].

¹³ კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი, ვიზის პოლიტიკა, <http://www.mfa.gov.cy/mfa/mfa2016.nsf/All/0E03E0EE9B9833EAC2258022003F023B?OpenDocument> [ბოლოს ნანახია 31.10.2016].

¹⁴ კვიპროსის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი, დახურული პორტები და აეროპორტები, 2014

მექანიზმებს არ იყენებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კვიპროსის რესპუბლიკა ევროკავშირში გაწევრიანდა. თუ ევროკავშირში გაწევრიანებამდე აკრძალული იყო სამხრეთ კვიპროსში შესვლა მათთვის, ვინც ისარგებლა ჩრდილოეთ კვიპროსში არსებული პორტით ან/და აეროპორტით, გაწევრიანების შემდეგ კვიპროსი იძულებული გახდა კანონმდებლობა შესაბამისობაში მოეყვანა ევროკავშირის თავისუფალი გადაადგილების პრინციპთან. ევროკავშირის დირექტივა N866/2004 აწესებს ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე სპეციალურ რეჟიმს კონფლიქტის სრულ მოგვარებამდე.¹⁵ შესაბამისად, ევროკავშირის მოქალაქეებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ კვიპროსის მთელ ტერიტორიაზე, თუმცა კვიპროსი მაინც იტოვებს იმ პირების დაჯარიმების უფლებას, რომლებმაც უკანონო აეროპორტითა თუ პორტით ისარგებლეს.¹⁶

როგორც ამ მიმოხილვიდან ჩანს, ქვეყნების პრაქტიკა არ არის ძალიან მკაცრი ოკუპირებულ ტერიტორიებზე პირთა გადაადგილების რეგულირებისას. რეგულირების მოქნილობა კი არც ერთ შემთხვევაში არ აღიქმება, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტზე ან ტერიტორიებზე უარის თქმა. მიუხედავად იმისა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის დღევანდელი რეგულაცია პირდაპირ არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, თავისუფალი გადაადგილების უფლების უფრო ეფექტიანად განხორციელებისა და ოკუპირებული რეგიონების უფრო მეტი ჩართულობისათვის, სასურველია, საქართველოს პოლიტიკა უფრო მოქნილი იყოს.

სახალხო დამცველის წინადადება

- საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა აკრძალული მიმართულებებიდან უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით;
- სახალხო დამცველი იზიარებს მთავრობის მიერ 2013 წელს შემოთავაზებულ ცვლილებებს, რომელიც ითვალისწინებს აკრძალული მიმართულებებიდან შესვლის შემდგომ სპეციალური ნებართვის გაცემის შესაძლებლობას;

http://www.mfa.gov.cy/mfa/mfa2016.nsf/mfa13_en/mfa13_en?OpenDocument [ბოლოს ნანახია 25.01.2017]; იხ. ასევე, გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ვებგვერდზე გამოქვეყნებული რჩევები უცხოეთში გამგზავრების მსურველ პირთათვის, კვიპროსი, დაცულობა და უსაფრთხოება,

<https://www.gov.uk/foreign-travel-advice/cyprus/safety-and-security> [ბოლოს ნანახია 31.10.2016].

¹⁵ COUNCIL REGULATION (EC) No 866/2004 of 29 April 2004 on a regime under Article 2 of Protocol 10 to the Act of Accession, Official Journal of the European Union L 161 of 30 April 2004, იხ. [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32004R0866R\(01\)&from=EN](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32004R0866R(01)&from=EN) [ბოლოს ნანახია 25.01.2017].

¹⁶ ვრცლად იხილეთ: Moving between North & South, What are the restrictions?

<https://www.justlanded.com/english/Cyprus/Cyprus-Guide/Northern-Cyprus/Moving-between-North-South> [ბოლოს ნანახია 31.10.2016].

- განსხვავებული წესი უნდა მოქმედებდეს საერთაშორისო ორგანიზაციების/მათი წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ ჰუმანიტარულ საქმიანობას, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის, ნდობის აღდგენისა და ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავების პროექტებს;
- ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული სპეციალური ნებართვის გაცემის პროცედურის და ფორმის, ასევე წარსადგენი საჭირო საბუთების შესახებ მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა იმ პირისათვის, რომელსაც სურს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სპეციალური ნებართვით შესვლა ან შესვლის შემდეგ სპეციალური ნებართვის მიღება;
- სახალხო დამცველი, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ საჭიროა ფორს-მაჟორის მუხლის შეტანა კანონში, რათა პირები, რომლებიც გაუთვალისწინებელი ვითარების გამო არღვევენ ქვეყნის საზღვარს, გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისგან.

3. ეკონომიკური საქმიანობა

საქართველო, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონით ასევე ზღუდავს და სისხლის სამართლის დანაშაულად განიხილავს პრაქტიკულად ყველა ეკონომიკურ საქმიანობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით ხორციელდება. ეს ეხება არა მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და უცხო ქვეყნის ინვესტიციებს, არამედ ქართული კომპანიებისა თუ საქართველოს მოქალაქეების მიერ განხორციელებულ საქმიანობასაც. მიუხედავად იმისა, რომ კანონი იძლევა სპეციალური ნებართვის გაცემის შესაძლებლობას, ისეთი საქმიანობების რიცხვი, რომელზეც საქართველოს ხელისუფლებამ თანხმობა გასცა, საკმაოდ მცირეა.

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალულია ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, სამეწარმეო ან არასამეწარმეო, რომელიც საჭიროებს ლიცენზიას, ნებართვას, ავტორიზაციას, რეგისტრაციას ან შეთანხმებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შეტანა ან/და გამოტანა, საჰაერო და საზღვაო მიმოსვლა, სარკინიგზო მიმოსვლა, საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვა, სახელმწიფო

რესურსებით სარგებლობა, ფულადი გადარიცხვების ორგანიზება, ასევე, ამ საქმიანობების დაფინანსება ან სხვა ფორმით ხელშეწყობა (მუხლი 6.1).¹⁷

ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322² მუხლით და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 5 წლამდე, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი ჯგუფურად, არაერთგზის, ან ამ დანაშაულისთვის მსჯავრდებულის მიერ, ისჯება ასევე ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 6 წლამდე. შენიშვნაში მითითებულია, რომ იურიდიული პირი, ამ ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შემდეგ, ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, კანონი ასევე ითვალისწინებს სპეციალური თანხმობის გაცემის შესაძლებლობას, თუ ამ საქმიანობის განხორციელება ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დე-ოკუპაციის, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ან ჰუმანიტარულ მიზნებს (მუხლი 6.2). მთავრობის N219 დადგენილების მიხედვით, ასეთ ნებართვას გაცემს განსახორციელებელი საქმიანობიდან გამომდინარე შესაბამისი მინისტრი, შერიგებისა და სახელმწიფო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან შეთანხმებით (პარაგრაფები 1, 1¹). ცალკე რეგულაციაა დადგენილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცურავი საშუალებებით საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში.¹⁸

პრაქტიკაში, სპეციალური ნებართვით მოსარგებლეთა რიცხვი არც ისე ბევრია. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, 2014-2016 წლების განმავლობაში აპარატმა შეათანხმა 7 ეკონომიკური საქმიანობა ოკუპირებულ

¹⁷ კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს იმ პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ გადაუდებელ ჰუმანიტარულ დახმარებას (მოსახლეობის უზრუნველყოფა საკვებით, მედიკამენტებითა და პირველადი მოთხოვნილების საგნებით) (კანონის მუხლი 6.6). ამ შემთხვევაში მათ უნდა შეატყობინონ საქართველოს მთავრობას საქმიანობის განხორციელებამდე ან, შეუძლებლობის შემთხვევაში, განხორციელების შემდეგ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, მათ შორის, საქმიანობის დაწყებისა და დასრულების დრო და ინფორმაცია მოსახლეობისათვის გაწეული დახმარების შესახებ (კანონის მუხლი 6.7).

¹⁸ საზღვაო ზონებში აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის თანხმობის გაცემის მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ინფორმაციას გამოითხოვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფიდან (პარაგრაფი 1¹). საქმიანობის განმახორციელებელმა მცურავმა საშუალებებმა კონტროლი უნდა გაიარონ ბათუმის ან ფოთის ნავსადგურში ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლამდე და გამოსვლის შემდეგ (პარაგრაფი 1⁴). კონტროლის განხორციელებისას ხდება გემზე მყოფი ეკიპაჟის, მათი ვინაობის და არსებული ნებართვების შემოწმება (პარაგრაფი 1⁵). ამასთან, მცურავ საშუალებებს ეკრძალებათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნისას რიგი ქმედებების განხორციელება, როგორცაა, მაგალითად ეკიპაჟის შეცვლა, ტვირთის მიღება (გარდა შეთანხმებულისა) და მგზავრების აყვანა (პარაგრაფი 1⁴).

ტერიტორიებზე.¹⁹ ხოლო 2008-2013 წლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებით 21 სპეციალური თანხმობა გაიცა.²⁰ აღსანიშნავია, რომ მთავრობის განკარგულებით ნებადართული საქმიანობების დიდი ნაწილი ენგურჰესის გამართული მუშაობის უზრუნველყოფას ემსახურებოდა, რაც ასევე მიუთითებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული საქმიანობები კონფლიქტებით ისედაც დაზარალებულ რეგიონებში მინიმალურია.

კანონის მოქმედების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება DCFTA-სა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის პირობებში. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში პირდაპირაა მითითებული მხარეთა ვალდებულება, მჭიდრო პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად მიღებული სარგებელი გაავრცელონ საქართველოს ყველა მოქალაქეზე, კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებული საზოგადოების ჩათვლით.²¹ გარდა ამისა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014, 2015 და 2016 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიღმა ვაჭრობის, მოგზაურობისა და ინვესტიციების წახალისების მიზნით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.²² მაგრამ, წლების განმავლობაში, სამოქმედო გეგმების განხორციელების ანგარიშებში, ამ ვალდებულების შესრულებაზე არაფერია ნათქვამი.

კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების წახალისება და დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება არის სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. სამოქმედო გეგმა ისეთ დეტალურ ღონისძიებებს მოიცავს, როგორიცაა: ერთობლივი წარმოების მხარდაჭერა; გამყოფ ხაზებს შორის მოქმედი ერთობლივი საწარმოებისათვის საწყისი კაპიტალის მოძიების ხელშეწყობა; ისეთი მრეწველობის განვითარება, რომელიც მოითხოვს დიდი რაოდენობით მუშახელს; საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში ინტეგრაციის ხელშეწყობა და ა.შ.²³ მიუხედავად ამ კეთილშობილური მიზნებისა, კანონის ამჟამინდელი ფორმულირებით დასჯადია პრაქტიკულად ყველანაირი ეკონომიკური საქმიანობა ხოლო ხელისუფლებას, სტრატეგიის მიღების შემდეგ არ შეუძლებია არანაირი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც წახალისებდა გამყოფი ხაზის

¹⁹ საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2017 წლის 12 იანვრის წერილი საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანს N66.

²⁰ საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანის 2017 წლის 18 იანვრის წერილი N 675/17.

²¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის, GE/EU/ge 11.

²² საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014, 2015 და 2016 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმები და მათი განხორციელების ანგარიშები იხილეთ: <http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/association-agreement> [ბოლოს ნანახია 25.01.17].

²³ სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №885 განკარგულებით დამტკიცებული „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“.

ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას, ბიზნესმენებსა თუ მეწარმეებს შორის სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს.

საქართველოს კანონის ამ რეგულაციას პრობლემურად მიიჩნევს ვენეციის კომისიაც. კომისიამ თავის 2009 წლის დასკვნაში აღნიშნა, რომ ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალი საკმაოდ ფართოა და თეორიულად შესაძლებელია, რომ საქმიანობა, რომელიც საზოგადოებისთვის საბაზისო საჭიროების დაკმაყოფილებას გულისხმობს ამ აკრძალვაში მოექცეს. ამასთან, ვენეციის კომისიის აზრით, რიგი დებულებები ძალიან ფართოა. ასეთებია, მაგალითად „სახელმწიფო რესურსებით სარგებლობა“ (მუხლი 6.1(დ)) და „ფულადი გადარიცხვების ორგანიზება“ (მუხლი 6.1(ე)), რომლებიც ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობას შეიძლება მოერგოს.²⁴

რეკომენდაციაში ვენეციის კომისიას მითითებული აქვს, რომ ეკონომიკური საქმიანობის კრიმინალიზება, მათი ბუნდოვანი ხასიათის გამო, შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს კანონიერების პრინციპს.²⁵ კრიტიკული დამოკიდებულება 6.1 მუხლის მიმართ შენარჩუნებულია მომდევნო დასკვნაშიც.²⁶

ამასთან, ვენეციის კომისიის დასკვნაში ნათქვამია, რომ მნიშვნელოვანია სანქციებმა ზიანი არ მიაყენოს მშვიდობიან მოსახლეობას და ხელი არ შეუშალოს ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებას. ვენეციის კომისია მითითებას აკეთებს გაეროს უშიშროების საბჭოს 2008 წლის 15 აპრილის რეზოლუციაზე (S/RES/1808), რომელშიც ნათქვამია, რომ აფხაზეთში აუცილებელია ეკონომიკის სწრაფი განვითარება.²⁷

სხვა ქვეყნების გამოცდილების მაგალითზე ვნახავთ, რომ ევროკავშირთან ასოცირების გზაზე, მოლდოვას ხელისუფლება დათანხმდა დნესტრისპირეთში დაფუძნებული და მოქმედი ბიზნესებისა და საწარმოებისათვის გაეგრძელებინა ექსპორტის სერტიფიკატების გაცემა, რომელსაც ისედაც გასცემდა 2006 წლიდან.²⁸ დამატებით, კიშინოვი და ტირასპოლი მოლაპარაკებებს აწარმოებენ დნესტრისპირეთიდან პროდუქტების წარმომავლობისა და ხარისხის სერტიფიცირებისათვის უფრო მოქნილი და სისტემური მექანიზმის შესამუშავებლად. გარდა ამისა, დნესტრისპირეთს ასევე მოუწია ეკონომიკურ და სავაჭრო საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ევროპის სტანდარტებთან ჰარმონიზება.²⁹

²⁴ Opinion on the Law on Occupied Territories of Georgia, Venice Commission, Strasbourg, 17 March 2009, Opinion N 516/2009, პარაგრაფი 28.

²⁵ იქვე, პარაგრაფი 50.

²⁶ Final Opinion on the Draft Amendments to the Law on Occupied Territories of Georgia, Venice Commission, Strasbourg, 14 December 2009, Opinion N 552/2009, პარაგრაფი 20.

²⁷ იქვე, პარაგრაფი 36.

²⁸ Stanislav Secieru, Transnistria Zig-zagging towards a DCFTA, No. 4 (145), January 2016, PISM, <https://www.ciaonet.org/catalog/34803> [ბოლოს ნანახია 31.10.2016].

²⁹ იქვე.

კვიპროსის ევროკავშირში გაწევრიანებამ გავლენა მოახდინა ჩრდილოეთ კვიპროსთან მის ეკონომიკურ ურთიერთობებზეც. ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად, ჩრდილოეთ კვიპროსში წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის ტერიტორიაზე წარმოებულ პროდუქციად ითვლება და მასზე მოქმედებს საქონლის თავისუფალი გადაადგილების პრინციპი. დირექტივის მიხედვით, გამყოფ ხაზზე აუცილებელია საქონლის რეგისტრაცია და მასზე არ მოქმედებს საბაჟო გადასახადი.³⁰

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ევროკავშირში გაწევრიანების მისწრაფების შესაბამისად, ასევე ოკუპირებული ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია შერბილდეს და უფრო მოქნილი გახდეს საქართველოს პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით.

სახალხო დამცველის წინადადება

- ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის მე-6 მუხლის მოქმედების ფარგლებში, განსხვავებული წესი უნდა შემუშავდეს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეწევიან ჰუმანიტარულ საქმიანობას, ახორციელებენ ადამიანის უფლებების დაცვის, ნდობის აღდგენისა და ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავების პროექტებს; ეს წესი უნდა უზრუნველყოფდეს საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გრძელვადიან და შეუფერხებელ მუშაობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე;
- გადაიხედოს ჯანდაცვისა და განათლების სფეროში მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაციების/დაწესებულებებისათვის, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს სთავაზობენ მნიშვნელოვან სამედიცინო მომსახურებასა და საგანმანათლებლო პროგრამებს, პასუხისმგებლობისა და ნებართვის გაცემის საკითხი;
- მთავრობამ უნდა შეიმუშავოს მოქნილი და წამახალისებელი სამართლებრივი და ლოჯისტიკური მექანიზმი, მათ შორის განსხვავებული საგადასახადო რეჟიმი და გამოყოს ფინანსური რესურსი, რომელიც საშუალებას მისცემს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე ადგილობრივ ინდივიდუალურ მეწარმეებს, მიკრო და მცირე ბიზნესებს, განავითარონ ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მოქმედ ბიზნესებთან და მეწარმეებთან, ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით;

³⁰ COUNCIL REGULATION (EC) No 866/2004 of 29 April 2004 on a regime under Article 2 of Protocol 10 to the Act of Accession, Official Journal of the European Union L 161 of 30 April 2004, მუხლები 4-6.

- ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად სპეციალური ნებართვის გაცემის პროცედურის შესახებ ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემული დოკუმენტები

სახალხო დამცველი თვლის, რომ კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ცვლილებებს საჭიროებს მუხლი, რომელიც უკანონოდ აცხადებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემულ დოკუმენტებს. გასათვალისწინებელია, რომ ახალ თაობას, რომელიც 1990-იანი წლების შემდგომ დაიბადა, არ გააჩნია სხვა დოკუმენტები გარდა არალეგიტიმური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტებისა. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გარკვეული მომსახურებების მისაღებად, მათ შორის საქართველოს მოქალაქეობის დასადგენად, საჭიროა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა. იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა, არც თუ იშვიათად, სირთულეებს ქმნის და დროში იწელება, რადგან რიგ შემთხვევაში საჭიროებს სასამართლოსათვის მიმართვას და მოწმეების წარდგენას. ეს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის მსურველი აფხაზებისა და ოსებისათვის ქმნის დამატებით ბარიერებს.

საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არ აღიარებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დე ფაქტო ხელისუფლებას და, შესაბამისად, მის მიერ გამოცემულ დოკუმენტებს არ მიიჩნევს იურიდიული ძალის მქონედ. ამ დოკუმენტების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გასაცემად (მუხლი 8.2). ამასთან, კანონი მიუთითებს, რომ სამოქალაქო მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა ხორციელდება „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით (მუხლი 8.3).

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო უფლებამოსილია დაადგინოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე პირის დაბადების, გარდაცვალების, პირის დაბადების რეგისტრაციის და გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტები (მუხლი 4.2).³¹ რაც შეეხება სხვა სახის იურიდიული მნიშვნელობის

³¹ ფაქტის დადგენისას ორგანო ეყრდნობა წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს, მოწმეთა ჩვენებებს და სხვა მტკიცებულებებს (მუხლი 92.1). ამასთან, განხილვისას ორგანო ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი მოსმენა (მუხლი 94.1). განცხადების განხილვის ვადა შეადგენს 1 თვეს, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლოა გაგრძელდეს კიდევ ერთი თვით (მუხლი 94.4, 94.5). იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთ-ერთ

მქონე ფაქტების დადგენას, რომელიც არ არის გათვალისწინებული ზემოაღნიშნული აქტებით, ხდება სასამართლოს მეშვეობით.³²

საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება არ არის ყოველთვის მარტივი. მიზეზი ამის ისაა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა გარკვეულ ნაწილს აღარ აქვს საბჭოთა დოკუმენტები, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება ლეგიტიმურ დოკუმენტად განიხილავს საქართველოს მოქალაქეობის დასადგენად. ამასთან, 1991 წლის შემდეგ დაბადებულ თაობას მხოლოდ დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გაცემული დოკუმენტები აქვს, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის მიხედვით არარად არის ცნობილი. შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირს უწევს ხანგრძლივი პროცედურის გავლა, თუ მას არ გააჩნია იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ 1993 წლის 31 მარტისთვის 5 წლის განმავლობაში მართლაც ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე.³³ სახალხო დამცველისათვის ცნობილია ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც საქართველოს მოქალაქეობის დადგენის მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირი რამდენიმე თვის განმავლობაში ელოდა საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებას იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის თაობაზე.

გარდა აღნიშნულისა, პრობლემას წარმოადგენს დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაზე გაიცემა არა მხოლოდ აფხაზური და ოსური პასპორტები, არამედ, რუსული პასპორტი, რომელთაც მოსახლეობის უმეტესობა ფლობს. ამ პრაქტიკასთან დაკავშირებით საინტერესოა უკრაინის მაგალითი. უკრაინა უკანონოდ განიხილავს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის ავტომატურ, იძულებით მინიჭებას და არ მიიჩნევს ამას უკრაინის მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლად (კანონი „უკრაინის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფასა და სამართლებრივ რეჟიმზე“, მუხლი 5(4)). უკრაინის გამოცდილების მსგავსად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემული რუსეთის ფედერაციის პასპორტები საქართველოს ხელისუფლების მიერ არ განიხილებოდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტად და არ გახდეს საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის საფუძველი.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს გარკვეული სახელმწიფო სერვისების მიღება პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტით შეუძლიათ.

საბუთს, რომლითაც შესაძლებელია დაბადების ან გარდაცვალების სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია (მაგ., მუხლი 21.1(ბ)).

³² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო განიხილავს ისეთ საქმეებს, როგორებიცაა პირთა ნათესაური კავშირის დადგენა, მამობის დადგენა, ქორწინების, განქორწინების, შვილად აყვანის ფაქტის დადგენა და ა.შ. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის საქმეებს სასამართლო განიხილავს უდავო წარმოების წესით (მუხლი 316¹.1). საგულისხმოა, რომ კოდექსი არ ითვალისწინებს უდავო წარმოების საქმეთა განხილვის ვადებს.

³³ იხილეთ საქართველოს მოქალაქეობის დადგენის პროცედურები: http://www.sda.gov.ge/?page_id=8666.

თუმცა, ნეიტრალური დოკუმენტები ბოლომდე მაინც ვერ ხსნის დოკუმენტებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემას. ნეიტრალური დოკუმენტები ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს აქვს აღებული. როგორც პირადობის ნეიტრალური მოწმობა, ისე ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი ვადიანი დოკუმენტებია, რომლებიც არ ამარტივებს შემდეგ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების პროცესს. ასევე, ყველა ის პროგრამა, რომელიც საქართველოს მოქალაქეებისთვის არის ხელმისაწვდომი არაა შეთავაზებული ნეიტრალური დოკუმენტების მქონე პირებისათვის (მაგალითისათვის, C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების“ პრეამბულაში ნათქვამია: „საქართველოს ხელისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს თავის მოქალაქეებად მიიჩნევს; შესაბამისად, თავის კონსტიტუციურ მოვალეობად თვლის, ხელმისაწვდომი გახადოს მათთვის ყველა სარგებელი, რომლებითაც გარანტირებულია საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე“.³⁴ თუმცა, რეალობაში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას ყოველთვის არ მიუწვდება ხელი სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სერვისებზე, ვინაიდან, სხვადასხვა მომსახურებით სარგებლობისათვის, უმეტეს შემთხვევაში საჭიროა საქართველოს მოქალაქის მოწმობა.

ვენეციის კომისია 2009 წლის დასკვნაში ამბობს, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით არ არსებობს დე ფაქტო ორგანოების მიერ გამოცემული დოკუმენტების აღიარების ვალდებულება. თუმცა, ისეთი დოკუმენტების არაღიარებამ, როგორებიცაა, მაგალითად, დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობა, შესაძლოა დაარღვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება).³⁵

ეს მიდგომა გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ³⁶ და კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ³⁷. ამ საქმეებში სასამართლო დაეყრდნო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მსჯელობას სარეკომენდაციო დასკვნაში „ნამიბიაში (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა) სამხრეთ აფრიკის გახანგრძლივებული ყოფნის სამართლებრივი შედეგების შესახებ სხვა ქვეყნებისათვის“. სამხრეთ აფრიკა 1966 წლიდან არელეგიტიმურად იმყოფებოდა ნამიბიის ტერიტორიაზე, რასაც საერთაშორისო საზოგადოება პროტესტს უცხადებდა. სასამართლოს განმარტებით ნამიბიაში სამხრეთ აფრიკის ადმინისტრაციის არაღიარება არ უნდა ასახულიყო

³⁴ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ოქტომბრის N320 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესები, მუხლი 1.

³⁵ Opinion on the Law on Occupied Territories of Georgia, Venice Commission, Strasbourg, 17 March 2009, Opinion N516/2009, პარაგრაფი 43.

³⁶ საქმე ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ (Loizidou v Turkey), 15318/89, 18/12/1996, პარაგრაფი 45.

³⁷ საქმე კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ (Cyprus v Turkey), 25781/94, 10/05/2001, პარაგრაფები 82-102.

ნამიბიაში ადგილობრივი მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე. კერძოდ, სამხრეთ აფრიკის მიერ გამოცემული აქტების უკანონობა არ უნდა გავრცელებულიყო ისეთ დოკუმენტებზე, როგორებიცაა დაბადების, გარდაცვალების და ქორწინების რეგისტრაცია, რადგან მათი უარყოფა მხოლოდ მოსახლეობისთვის გამოიწვევდა უარყოფით შედეგს.³⁸

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განავრცო ეს მსჯელობა და საქმეში *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ* მიიჩნია, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა განხილულიყო როგორც შიდასახელმწიფოებრივი საშუალება და უფლების დაცვის მექანიზმი, მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლო ექვევმ არ აყენებდა იმ ფაქტს, რომ კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობა ერთადერთი ლეგიტიმური მთავრობაა ქვეყანაში.³⁹ სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანის უფლებების დასაცავად ადგილობრივი (არალეგიტიმური) სასამართლოების გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ ახდენდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის ლეგიტიმაციას და ეს მიდგომა უზრუნველყოფდა ამ ტერიტორიაზე უფლებათა დაცვის ვაკუუმის თავიდან აცილებას.⁴⁰

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის განხილული მაგალითების შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ორგანოების მიერ გამოცემული დოკუმენტების აღიარება არ იქნება განხილული, როგორც ამ ორგანოების ლეგიტიმურობის აღიარება და მხოლოდ დაეხმარება ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობის მარტივად აღებაში თუ სხვა სერვისების მიღებაში.

სახალხო დამცველის წინადადება

- სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ეფექტური მექანიზმი, რათა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა პირებმა შედარებით მარტივად შეძლონ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობისა და იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტების მიღება, რითიც შემდეგ შეეძლებათ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისებით სარგებლობა;
- საქართველოს მთავრობამ უნდა იმსჯელოს არალეგიტიმური ორგანოების მიერ გაცემული იმ დოკუმენტების ცნობად მიღებაზე, რომლებიც დაეხმარება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი

³⁸ Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa), ICJ, სარეკომენდაციო დასკვნა, 21.06.1971, პარაგრაფი 125.

³⁹ საქმე კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ (Cyprus v Turkey), 25781/94, 10/05/2001, პარაგრაფი 90.

⁴⁰ იგივე, პარაგრაფი 92.

დოკუმენტის მიღებაში. შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

5. ადამიანის უფლებების დაცვა

საქართველოს კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არაფერია ნათქვამი საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებაზე, შესაძლებლობის ფარგლებში, დაიცვას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მას ასეთი ვალდებულება გააჩნია და საქართველოს ხელისუფლება ოკუპაციის პირობებშიც ცდილობს იქ მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვას.

დღევანდელი რედაქციით, საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებლობას რუსეთის ფედერაციას აკისრებს, საქართველოს ხელისუფლებას კი მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის დარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ავალდებულებს (მუხლი 7). კანონის მე-9 მუხლი ასევე ითვალისწინებს საქართველოს ხელისუფლების ვალდებულებას მიმართოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ყველა მექანიზმს, რათა დაიცვას საქართველოს კანონიერი ინტერესები და უსაფრთხოება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, ეფექტური კონტროლის დაკარგვა ტერიტორიაზე არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებისაგან. კერძოდ, სახელმწიფოს რჩება ვალდებულება კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად, მიმართოს ყველა შესაძლო დიპლომატიურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ ან სხვა ზომას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, რათა უზრუნველყოს პირის კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვა.⁴¹

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს კონკრეტულ პროგრამებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის, ცდილობს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს მათთვის სახელმწიფო სერვისები, მნიშვნელოვანია კანონშიც აისახოს, რომ საქართველოს ხელისუფლება იღებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებას შესაძლებლობის ფარგლებში.

⁴¹ ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ (Ilaşcu and Others v. Moldova and Russia), 48787/99, 08/07/2004, პარაგრაფი 331.

მსგავსი მიდგომა აქვს, მაგალითისათვის, უკრაინას. კანონი „უკრაინის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფასა და სამართლებრივ რეჟიმზე“ უკრაინის ხელისუფლებას აკისრებს ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებას, იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, პასუხისმგებლობა უფლებათა დარღვევებზე რუსეთის ფედერაციას ეკისრება.⁴² კანონში ჩამოთვლილია რიგი უფლებები, რომელთა დაცვასაც უკრაინის ხელისუფლება საკუთარ თავზე იღებს.⁴³ კანონში პირდაპირ არის გაწერილი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში უკრაინის უმაღლესი რადას სპეციალური წარმომადგენლის (ომბუდსმენის) ვალდებულებაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მონიტორინგზე.⁴⁴

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დაცვის ვალდებულების გამოკვეთა კანონში დადებითად აისახება ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე.

სახალხო დამცველის წინადადება

- საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ მეტად უნდა იყოს ორიენტირებული ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვაზე და უფრო მკაფიოდ აყალიბებდეს საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებებს ამ კუთხით;
- საქართველოს ხელისუფლებამ კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ უნდა გამოკვეთოს სახელმწიფოს ვალდებულება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვაზე და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები კანონის მე-7 მუხლში.

საქართველოს სახალხო დამცველი გამოთქვამს მზადყოფნას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული რეგულაციების შესახებ დამატებით განხილვებში და იმედოვნებს, რომ მისი

⁴² უკრაინის კანონი უკრაინის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფასა და სამართლებრივ რეჟიმზე, მუხლი 5, http://online.zakon.kz/Document/?doc_id=31540279#pos=69;-153 [ბოლოს ნანახია 26.01.17].

⁴³ მაგალითად, უკრაინის კანონი ხაზგასმით აღნიშნავს რომ მოქალაქეებს აქვთ სოციალური დაცვის უფლება უკრაინის კანონმდებლობის შესაბამისად (მუხლი 7). ასევე, თუ სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან ვერ მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო სასწავლებლებში შესაბამისი ადგილების დამატებას (მუხლი 7(2)). ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთათვის ასევე გარანტირებულია საყოველთაო არჩევნებში და რეფერენდუმში მონაწილეობა (მუხლი 8). უკრაინის კანონში ასევე მითითებულია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ დე ფაქტო ხელისუფლების განმხორციელებელ ორგანოებთან კავშირის დამყარება შესაძლოა მოხდეს, უკრაინის ეროვნული ინტერესების, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნებისთვისაც (მუხლი 9(4)).

⁴⁴ იგივე.

რეკომენდაციების საფუძველზე, კანონის პროექტის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა მოხდება.

Contents

1. Introduction	22
2. Procedures for entering the occupied territories	23
3. Economic activities	28
4. Documents issued on the occupied territories	32
5. Human Rights Protection	35

1. Introduction

In May 2013, the Georgian Parliament passed on the first reading the bill, “On Amendments to the Law on Occupied Territories” (hereinafter referred to as the “Amendments”). Submitted by the government, the Amendments altered Article 4 of the Law on Occupied Territories, which regulates entry into the occupied territories. Further to the Amendments, first-time violation of the rule against entering the occupied territories from outside the territory of Georgia no longer results in criminal liability but is treated as an administrative offense. The same action committed on a repeat basis is deemed a criminal offense, which, rather than subject to confinement, is punishable by a fine of 400 GEL. Parliament resumed consideration of the Amendments in late 2016.

The Public Defender (Ombudsman) of Georgia welcomes liberalization of regulations on entering the occupied territories from outside of Georgia’s territory, both from the perspective of human rights and from the point of view of normalizing Georgian-Abkhazian and Georgian-Ossetian relations. In addition, the Public Defender considers there to be a number of problematic issues in the Law which also require amendment for the purpose of better protection of internationally-recognized human rights and freedoms.

Isolation of the Abkhazian and South Ossetian populations from the international community hinders the restoration of confidence and reconciliation between communities separated by the conflict, including those physically separated by the administrative boundary line. Therefore, Georgia’s strategic goal enshrined in its 2010 state strategy is de-isolation and engagement with the occupied regions.¹ The Government of Georgia also expressed its readiness to make benefits achieved through Georgia’s ongoing economic development and Euro-Atlantic integration available to the populations of Abkhazia and South Ossetia.²

